მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №78
2022 წლის 25 ნოემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. დაუბრუნდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს შემდეგი შენიშვნებით:
ა) სპეცტექნიკის მძღოლების სახელფასო ანაზღაურების გაზრდა 1000 ლარამდე;
ბ) გენდერული თანასწორობის კუთხით 5000 ლარის გათვალისწინება;
გ) მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩამონათვალი ასახულ იქნეს დეტალურად და გასაგებად.

2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა